

თხი ცვრილება რომედიც ხვარიდან ამოქმედლება



პირველი მარტიდან საქართველოში რამდენიმე ახალი საკანონმდებლო რეგულაცია ამოქმედდება. იმ ცვრილებს გთავაზობთ, რომელთა ამოქმედებაც ხვარიდან მოხდება.

სამარშრუტო ტაქსებს 14 ქუჩაზე მხოლოდ გარეუბებზე გააჩერებენ

პირველი მარტიდან თბილისის 14 ქუჩაზე სამარშრუტო ტაქსები მხოლოდ მოსაცდელ გარეუბებზე გაჩერდებიან. აღნიშნული რეგულაცია მხოლოდ ყვითელ მიკროავტობუსებსა და რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ტაქსებს შეეხება. რაც შეეხება ქუჩების ჩამონათვადს, სადაც მხოლოდ გარეუბებზე გაჩერდებიან „მარშრუტკები“ ესენია: მერაბ კოსტავას ქუჩა, ვაჟა-ფშაველას გამზირი, შოთა რუსთაველის გამზირი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა, ადექსანდრე ყაზბეგის გამზირი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ხეივანი, დავით აღმაშენებლის გამზირი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, ჟიური შარტავას ქუჩა, პეკინის ქუჩა, მარშალ გელოვანის გამზირი, ჯორჯ ბუშის ქუჩა და კახეთის გზატკეცილი.

დასუფთავების სამსახური ქაღალში მხოლოდ ღამის საათებში იმოძრაებს

პირველი მარტიდან თბილისერვისის სამსახური ქაღალში მხოლოდ ღამის საათებში გადაადგილდება. კერძოდ, დასუფთავების სამსახური ნაგვის გატანას 22.00 საათიდან განახორციელებს ვაკის რაიონის 32 ქუჩაზე – დანყებური ვაკის პარკიდან, დამთავრებული თსუ-სპირველ

კორპუსამდე, ანუ საუბარია, მთერ ჭავჭავაძის გამზირსა და მიმდებარე ყველა ქუჩის განშტოებაზე

უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომფლობელებისთვის მესამე პირის დაზღვევასავადლებულ ბდება

უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი საქართველოში შემოსვლისას ვადლებული იქნება მესამე პირის დაზღვევა შეიძინოს. უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას მისი მფლობელი/მძღორი ვადლებულია საქართველოში მისი ყოფნის სრული პერიოდით დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე. აღნიშნული სავადლებულ დაზღვევით ანაზღაურდება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი (ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღორის დასახელება სავადლებულ არ არის).

ამასთან, ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელს/მძღორს, რომელიც უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქართველოში სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავადლებულ დაზღვევის გარეშე გადაადგირდება, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება.

ბაზრობის, სასტუმროს, ავტოგასამართი სადგურის მფლობელებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვადლებული იქნებათ

პირველი მარტიდან მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელებს მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ვადლებული იქნებათ. აღსანიშნავია, რომ მესამე პირად იგულისხმება მათ შორის, ამ ობიექტში კომერციული საქმიანობით დაკავებული მენარმე სუბიექტიც, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიაღვა ზიანი.

მასობრივი თავშეყრის ობიექტებია: სავაჭრო ცენტრი; ბაზრობა (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეაღიზაციისათვის განკუთვნილი სპეციალური სავაჭრო ზონის ან ავტობაზრობისა); ავტოგასამართი ან/და აირგასამართი სადგური და სასტუმრო (100 და მეტადგირიანი სასტუმრო, დასასვენებელი სახლი).

